წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. სამშაბათი, 29 სექტემბერი 1915 წ. №104

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ღირება 5 მანეთი.

„საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე ღირს 3 მ.—50 კ.

მოვაგონებთ იმ ხელის მომწერთ, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“, Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

სახელოსნოს ქალაქში სხვა განყოფილება არ მოიპოვება.

ვკისრულობთ

გადავაკეთოთ, გავწმინდოთ და ახლათ შევღებოთ საქალებო და სავაჟო ქუდები

სპეციალურად ვწმენდავთ სავაჟო „კოტელოკებს“ და „ცილინდრებს“.

აგრეთვე ვწმენდავთ პლიუშს, ხავერდს, და ვაქენებთ გინგლს.

ვახუჭუჭებთ და ვწმენდავთ სირაქლემას ფრთას და ბოას.

ქუდების სახელოსნო დ. გ. გვახარიასი

გოლოვინის პროსპ. № 39.

სახელოსნოს ქალაქში სხვა განყოფილება არ მოიპოვება.

ახლად დაარსებული საამხანაგო

ფქვილის საწყობი „რაჭა“

ჰყიდის მეპურეებზე და კერძო პირებზე ფქვილს ხელმისაწვდომ ფასებში. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 3. —6

გადაწერას საწერ მანქანის საშვალებით და საწერ მანქანაზე მუშაობის სწავლებას

ხელმისაწდომ ფასებში ჰკისრულობს

ი. თ. ვაშაძის კანტორა

ვერის დაღმართი № 1

ტელეფონი 17—05

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოზის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—6 საათ, ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

კბილის ექიმი

მამულაიშვილი

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

ქ. ზორაში

ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

ექიმი

გ. მ. მუხაძე

იღებს **სადოსტაქრო** ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: ტატიანის ქუჩა, მიხეილის ქუჩის ახლო, სახლი 6. ზემო სართული. ტელეფონი № 3—92.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი

მ. დ. წინამძღვრიშვილი

უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქუჩა № 36, მეორე სართული.

ქართველი გრიგორიანები

ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ ქართველ მაჰმადიანებზე. განსაკუთრებით დღეს თითქმის მორიგ საკითხადაა გადაქცეული მათი მაგრა ხელში დაჭერა, რომ ჩვენი სისხლ-ხორცი დროთა ცვალებადობის გამო დაკარგული მოძმენი კვლავ ჩვენად დაგვიბრუნდნენ. დაე, მაჰმადიანები იყვნენ, დაე, რწმენამან მათმან აცხონოს იგინი, ოღონდ გრძნობით, ოღონდ ცხოვრებით, გონებით იცოცხლონ ჩვენთან ერთად, ისუნთქონ ჩვენი ჭირვარამით და სიხარულით. ეს ეხლა არც სასირცხვილოდ, არც საარაკო და არც იმ თავსამტვრევ საკითხს წარმოადგენს, რასაც ჩვენი პოლიტიკური მმართველნი ჰქადაგებდნენ, ვთქვათ, თუნდა ამ სამაჰმადიანო მხარეთა შემოერთების შემდეგ.

ერთ დროს არა ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდით ქართველ კათოლიკებს, მაგრამ დავკარგეთ ამ სფეროს ბაირახტარი თამროშვილი და ამ საკითხმაც მიიძინა. ახლა აღარ არის იგი და ქომაგი, ან ხმის ამომღებიც არავინა სჩანს. დაგვრჩენია ერთი რამ სანუგეშოდ, რომ ჩვენსა და ქართველ კათოლიკეთა შორის მაინცა და მაინც არ არსებობს ისეთი მკაცრი დამოკიდებული, ისეთი გამწვავება, რასაც მეოთხმოცე წლებიდან ვხედავდით ჩვენსა და მაჰმადიან ქართველებს შუა. ალბად აქ საკითხის სილბილეს თვით ჩვენი ეკლესიის ისტორიაც თუ უწყობდა ხელს, რომ ჩვენ არ ვეკრძალებოდით კათოლიკობას,

სამაგიეროდ ჩვენ მთლად გვერდზე მიგდებული და გაყინული გვაქვს ქართველ გრიგორიანთა საკითხი. ბევრს თვით კითხვის აღძრვაც ეძნელება. თქმა არ უნდა, აქ როლს თამაშობს არსებული ქართველ-სომეხთა დამოკიდებულება. მაგრამ ვფიქრობთ, ჩვენი საზოგადოება იმდენად მომწიფებული უნდა იყოს, რომ საკითხი პირად გრძნობა და სიმპატია-ანტიპატიით არ დააბნელოს. ნუ დავივიწყებთ, რომ საკითხი შეეხება უკანასკნელ 300 ათას ქართველ გრიგორიანს მაინც. 300 ათასის დაკარგვა ისიც დღევანდელ დღეს, როდესაც თვითეული ადამიანიც ძვირფასია, მეტად მძიმე დანაკლისი იქნებოდა ქართველი ერისათვის. წარხდა, წავიდა ის დრო, როდესაც რელიგიის გარშემო იყო ატეხილი დავა და ჩხუბი, როდესაც ამა თუ იმ ერის ფარშუბი ამ საკითხის გარშემო იმსხვრეოდა. დღეს სულ სხვაა. რელიგია ჩვენ არ გვაშინებს. დაე, ვინც რას აღიარებს, რაც სწამს, იმას ეთაყვანებოდეს. მაგრამ რა შუაშია აქ თვით ეროვნების უარყოფა? აბა დაიარეთ ქართლის სოფლები, ვთქვათ, ტყვიავი, უფლის ციხე, ცხინვალი, აქეთ წყნეთი და სხვა და სხვა. მთელი სოფლები გრიგორანები არიან... აქ სრულიადაც არაა საინტერესო ის საკითხი თუ რა გზით ან რა საშუალებით გაგრიგორიანდნენ ეს სოფლები, აქ მხოლოდ ფაქტს ვუწევთ ანგარიშს, რომ დღეს ეს სოფლები გრიგორიანთა სარწმუნოებას აღიარებენ. მაგრამ შევიდეთ ხსენებულ სოფლებში: ყოველგან ჩვენი ზნე-ჩვეულება, ჩვენი ჩაცმულობა, ჩვენებური მეხრის ღიღინი. ერთი სიტყვით, აქ ჩამოთვლილი სოფლები წმინდა ქართული სოფლის სულით ჰსუნთქავენ, ჩვენს ჭირსა და ლხინს იზიარებენ. მაშ რითია განსხვავება? სარწმუნოებით! და განა ეს ჰხდის მათ სომეხად? სულ ეს არის? რა თქმა უნდა, არა! აბა იმავე სოფლებში დააკვირდით ახალ მოსულ სომეხ ჩარჩს, ანუ მედუქნეს, რა აქვს საერთო ადგილობრივ მკვიდრთან? არაფერი. დიამეტრიულად წინააღმდეგი ხასიათი, თვისება, მისწრაფება. თვით ტიპიც ნამდვილი მოსულის ტიპია, მაშინ როდესაც ჩვენებურ ქართველ გრიგორიანთა სახე ისევ ჩვენია, შეუბღალავი. ბევრი მინახავს ამ სოფლებში მოსაუბრე გლეხი. როდესაც უცხო ენაზე გამოჰლაპარაკებიხართ, ვთქვათ, არა თუ სომხურზე, არამედ რუსულადაც კი, წყრომით მოუმართავთ: თუ ღმერთი გწამთ, ქრისტიანულ ენაზე მელაპარაკეთო, და ქრისტიანული ენა მისთვის ხომ კვლავ ქართული ენაა! მაშასადამე, ამ სოფლებში ჩვენ გვმართებს ბეჯითი მოღვაწეობა, ბეჯითი მუშაობა, ვითხოვოთ, სადაც ჯერ არს, წერა-კითხვის საზოგადოებას უფლება მიეცეს ქართულ სკოლების დახსნისა. თუ ასე არ მოვიქცევით, მაშინ ციხე შიგნიდანვე გაგვიტყდება. იმის რწმუნებით, რომ გრიგორიანები რახანც არიან სომხები იქნებიანო, ჩვენ მოვიწყვეტთ, როგორც ვთქვით, უკანასკნელ 300 ათას კომლს მაინც.

ამის მაგალითს ვხედავთ თუნდა სოფელ წყნეთში, სადაც არა თუ სომხური სკოლაა გახსნილი, არამედ თვით საზოგადოებაშიც კი ერთგვარ ტენდენციას აჩენინეს თავი, რომ ქართულად თუ ძველმა თაობამ არა, ახალმა მაინც არ ილაპარაკოს და მომავალში სულით და ხორცით მთლად გასომხდნენ. ჩვენი მოვალეობაა ამ გარემოებას სათანადო ყურადღება მიექცეს...

დ. კასრაძე

ომის ამბები

ჟურნალ-გაზეთებიდან

ბალკანეთის ამბები.

ვინაიდგან ოსმალთა ჯარს დიდი დახმარება მოუვიდა ბულგარეთის საზღვრიდან და დარდანელზე მდგომარეობაც შეიცვალა ბულგარეთის ომში ჩარევის გამო, მოკავშირე სახელმწიფოებმა მოქმედება შეაჩერეს და თავდაცვაზე გადავიდნენ.

სოფიაში ექვსი გერმანელი მფრინავი მივიდა, ხოლო კონსტანტინეპოლიდან სპეციალისტ მუშების რაზმები ბულგარეთში გაემგზავრა.

რუსეთის პირდაპირ გამოსვლის გამო ინგლისელები დიდად აღტაცებულნი არიან და ქებას შეასხამენ. რუსეთმა სწორე გზა აირჩიაო. ბულგარეთი თავის სიკვდილის განაჩენზე თვითონ მოაწერს ხელსაო!

ერთერთი ინგლისური ორგანო ამბობს: ყველა მოკავშირე სახელმწიფოებზე რუსეთს მეტი უფლება ჰქონდა სოფიაში გადამწყვეტი სიტყვა ეთქვა და ორჭოფულად არ მოქცეულიყოო.

ბულგარეთის 150,000 ჯარისკაცი სერბეთის საზღვარზე სდგას, 100,000 რუმინეთისაზე, ხოლო 100,000 საბერძნეთისაზე.

რა წამს ოსმალეთი ბულგარეთს კავშირით შეეკრა, დათმობილ ადგილებიდან: ადრიანოპოლიდან, მიდიიდან, კირკილისედან და სხვა გამაგრებულ ადგილებიდან რიცხვით 80,000 ჯარისკაცი სხვა საზღვრებზე გადაიყვანა.

ბულგარეთში ყველა რკინისგზებს მხოლოდ ჯარები გადაჰყავ-გადმოჰყავს.

ცეტინედან მოსულ ცნობებით: ავსტრიეთის იმპერატორს მიულოცნია ფერდინანდისთვის ბულგარეთის გამოსვლა და აღუთქვამს მომავალ დიდბულგარეთის შექმნაო. მხოლოდ მეორე ცნობაა, სადაც ფრანც იოსები უკმაყოფილებას უცხადებს ბულგარეთს მისი გაუთავებელი ყოყმანის გამო.

ხმებია, გერმანეთმა აღუთქვა ბულგარეთს ყოველდღიურად 50,000 მარკაო.

ინგლისთ-საფრანგეთის ელჩები, ისე მოიქცევიან სოფიაში, როგორც რუსეთის ელჩი. იტალეთის ელჩის გადაწყვეტილების შესახებ ჯერ-ჯერობით არას ამბობენ, მხოლოდ დარწმუნებულნი კი არიან, ისიც სხვა ელჩებთან შეთანხმებით იმოქმედებს.

ელჩი მაჯაროვი ესაუბრა კამერგერ გულკევიჩს, საუბრის დროს ბულგარეთის რწმუნებულს არსებითად არაფერი უთქვამს სოფიის მთავრობის მოქმედების შესახებ.

უკანასკნელ სამი დღის განმავლობაში ბულგარეთის მისიამ პეტროგრადში მცხოვრებ ბულგარელებს სამშობლოში წასასვლელი ქაღალდები დაურიგა.

გაზ. „უტრ. როს.“ გადმოცემით ბულგარეთმა უკვე წარუდგინა ულტიმატუმი სერბეთს მაკედონიის დასათმობად. პასუხის ვადა განისაზღვრება 24 საათით.

ათინაში გერმანეთის ელჩმა პროტესტი განაცხადა, იმის გამო, რომ საბერძნეთმა ნეიტრალიტეტი დაარღვია გერმანეთის მტრების სასარგებლოდ.

ბულგარეთ-რუმინეთი შეთანხმებულან სხვა და სხვა საქონლების გადატან-გადმოტანაში რუმინეთით. ამ შეთანხმების წყალობით გერმანეთიდან ოსმალეთში, სრულიად დაუბრკოლებლად იწარმოებს სურსათის და სამხედრო მასალების მოზიდვა.

ბერლინის გაზეთები აღტაცებით მიეგებებიან ბულგარეთის გამოსვლას და დაასკვნიან: რომ ბალკანეთის სახელმწიფოები გარკვეულ გზას დაადგებიანო. ვეღარც რუმინეთი დაიცავს ხანგრძლივ ნეიტრალიტეტს და ერთ ერთ მოწინააღმდეგეს უნდა აუცილებლად მიემხროსო.

პეტროგრადიდან გავიდა ბულგარეთის ელჩი.

გენერალი გამილტონი სალონიკში მისულა, რათა ხელმძღვანელობა გაუწიოს გადმოსხმულ მოკავშირეთა ჯარს. აქვე მისულა მეფე კონსტანტინე პროტესტის გამოსაცხადებლად, რომ მოკავშირეებმა საბერძნეთის ნეიტრალიტეტი დაარღვიესო, ეს ცნობა ოფიციალად არ მტკიცდება, მხოლოდ ამბობენ, რომ ათინის კაბინეტი იძულებული იქნება პროტესტი გამოუცხადოსო. ამაზე ინგლისს უპასუხნია, რომ პროტესტს ყურადღებას არ მივაქცევო. საერთოდ საბერძნეთი თანაგრძნობით ეკიდება მოკავშირეთა მოქმედებას?

გერმანეთმა ულტიმატუმით მოსთხოვა საბერძნეთს იარაღით წინააღმდეგობა გაუწიე მოკავშირეთა გადმოსხმულ ჯარსაო.

ბულგარეთის სამხედრო შტაბის მოთავედ გერმანელი აგენტი მასუაა. მას გერმანელები საუკეთესო ოფიცრად სთვლიან. მასუა დიდი ხანი არ არის, რაც აღმოსავლეთ ფრონტიდან სოფიაში მივიდა.

პირველი ნაბიჯი ბულგარეთში.

სოფიაში რუსეთის მისიის შენობას მოაძვრეს რუსეთის ღერბი და ჩამოუშვეს ბაირაღი. რადოსლავოვის „ნაროდნი პრავა“ ამბობს: ყოველივე დიპლომატიური მოქმედება გათავებულია. ბულგარეთმა დაუყონებლივ უნდა დაიჭიროს მაკედონია და შური იძიოს დამამცირებელთა წინააღმდეგ. რუსეთის ულტიმატუმი მოულოდნელი და მეტად დამაფიქრებელი იყო ბულგარეთის მთავრობისათვის და აგრეთვე ოპოზიციისთვისაც, რომელიც ასეთ ნაბიჯს ოთხთა შეთანხმების საწინააღმდეგოდ სთვლიდა.

ბულგარეთიდან დაბრუნებული.

ერთ-ერთი რუსი კორესპონდენტი ბულგარეთში მობილიზაციის გამოცხადების მეორე დღეს რუსეთში დაბრუნებულა და უამბნია: 4 სექტემბერს კონსტანტინეპოლიდან ბულგარეთს დაბრუნდა ჰერცოგი მეკლენბურგ-შვერინსკი და თან ბულგარეთის და ოსმალეთის სულთანისგან ხელმოწერილი ხელშეკრულობა მოიტანაო. ამავე დღეს ხელშეკრულობას მეფე ფერდინანდმა ხელი მოაწერაო, ხოლო 6 სექტემბერს უნდა გამოცხადებულიყო მანიფესტი, რომ ბულგარეთმა ოსმალეთისგან დათმობილი ტერიტორია კაჩა-აჩ დემოტიკი და სხვა შემოიერთაო. მაგრამ გამოცხადება გადაიდო, რადგან ხალხი აღელვებული იყო, რომ მეფე ფერდინანდმა პირდაპირ გერმანელების მხარი დაიჭირაო. შემდეგ მეფემ მოიხმო მინისტრი აპოსტოლოვი, გადასცა ბრძანება, სადაც ნათქვამი იყო: სრულიად ბულგარეთის რკინის გზათა მობილიზაცია მოახდინეო და თან დაუმატა: გაბარებ ამ ბრძანებას სისრულეში მოსაყვანად და არა სამსჯელობოდაო!

მობილიზაცია ღამის 12 საათზე გამოცხადდა. ღამემ დაჰკარგა მყუდროება. ახმაურდა ყველაფერი. ქალაქ სოფიაში ყოველმხრივ გუგუნებდა ხალხი. ისე გათენდა, რომ ხმაურობა არ მიწყნარებულა.

მოხუცი ხალხი თვალყურს ადევნებდა ბულგარელ მოსწავლე ახალგაზრდობას, რომელთაც ხელში ავსტრიეთის და გერმანეთის ბაირაღები ეჭირათ და გული სწყდებოდათ, რომ სლავიანი სლავიანის წინააღმდეგ ილაშქრებდა.

ბალკანეთის სახელმწიფოების შეიარაღებული ძალები.

ბულგარეთის შეიარაღებული ძალა ამ ჟამად შესდგება 400,000 ჯარისკაცისაგან, ამ რიცხვის გადიდება შეუძლიან მას პირველ ხანებში 563,000 კაცამდე, სერბეთს ჰყავს ეხლა მ? 350,000 მე-

ომარი, საბერძნეთს 215,000 კაცი, აქვე უნდა მოვიხსენიოთ რუმინეთი, რომელმაც თუ მობილიზაცია მოახდინა, იარაღის ქვეშ დააყენებს 600,000 კაცს.

——

„ტრიბუნას“ ცნობით, სერბეთის წინააღმდეგ გერმანეთისა, ბულგარეთისა და ავსტრიის შეთანხმებული გალაშქრება აპრილში იყო გადაწყვეტილი ვილჰელმისა და ფერდინანდ შორის მომხდარ შეთანხმების ძალით. ამ გეგმის განხორციელება დააგვიანა ავსტრია-იტალიის ომმაო.

გერმანეთ-ბულგარეთის შეთანხმება.

„გაზეთ „პატროსის“ ცნობით, ოთხ ივლისს სოფიაში პრინც გოგენლოეს ყოფნის დროს მოხდა გერმანიისა და ბულგარეთის შეთანხმება, რომლის ძალით ბულგარეთს მიეცემა ალბანეთი, სერბეთის მაკედონია პრიზრენიდან ცარიბროდამდე. საბერძნეთის მაკედონია სოლუნით, კოვალათი და დრამსით.

საბერძნეთში.

ზაიმესი (ახალი პრემიერი) თუმცა გერმანოფილია, მაგრამ არა თეოთოკისთანა. ახალი კაბინეტი არ მიემხრობა გერმანეთს, მარა არც მოკავშირეებს გაუწევს აქტიურ დახმარებას. მეფე კონსტანტინემ ინგლისელ ელჩთან ბაასის დროს განაცხადა: „ვენიზელოსის გადადგომა ჯერ კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ რაიმე პოლიტიკა შევცვალოდ სერბელებთანაო.

დესანტი სალონიკში.

„ვეჩ. ვრ.“ ცნობით სალონიკში ფრანგებს გადაუსხავთ დესანტი, რომელიც სერბეთის საშველად მიდის. ირწმუნებიან, დესანტის გადასხმის საქმე წესიერად და ხელსაყრელად გაგრძელდებაო.

რუმინეთი.

გერმანოფილები ირწმუნებიან: თუ ვინცობაა მოსალოდნელი კონფლიქტი მოხდა ბალკანეთზე, რუმინეთი დაიცავს გერმანეთისთვის ხელსაყრელ ნეიტრალიტეტს, ბულგარეთთან კეთილ განწყობილების შესანარჩუნებლად რუმინეთი თანხმდება დაუბრუნოს ბულგარეთს: დობროჯუ, სილისტრიის გარდა.

იტალეთის ამოქმედება.

ხმებია, იტალეთის საექსპედიციო კორპუსი ემზადება, ინგლისეთ-საფრანგეთის დესანტთან შესაერთებლად.

ყუმბარების სროლა.

17 სექტემბერს რიგის მაღლა მფრინავმა მოწინააღმდეგის ჰაეროპლანმა შუა ქალაქში ბომბები ჩამოყარა. ერთი რკინის გზისა და სურსათის საწყობის შორიახლოს დაეცა. ქუჩებში თავს იყრის სასოწარკვეთილი ხალხი.

ამავე დღეს გამოქვეყნდა რიგაში ბრძანება, ქალაქში მცხოვრებ გერმანელებს იარაღი ჩამოერთვათო. ვინც იარაღს დაჰფარავს 3000 მანეთით დაჯარიმდებაო.

გემის დაღუპვა.

სტოკჰოლმიდან ვოლფის სააგენტო იუწყება:

გუშინ 21 სექტემბერს ნაშუადღევს არგონის ახლო მოპიდაპირის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა გემი „სმოინია“.

კომიტეტის დაარსება.

ლეოპოლდ როდშილდის თავმჯდომარეობით ლონდონში დაარსდა ომისაგან დაზარალებულ რუს-ებრაელების დამხმარე კომიტეტი.

ახალი შეტევითი ტაქტიკა.

ცნობილ ფრანგ მწერალს მორის ბარესს ლონდონში ყოფნის დროს უსაუბრნია პარიზულ გაზეთების იქაურ კორესპონდენტებთან, შამპანში მომხდარ შემოტევის შესახებ. „სამწუხაროდაო, უთქვამს ბარესს, სამხედრო მოსაზრებათა გამო არ შეიძლება გამომჟღავნება თუ რა ზარალი მოუვიდათ ფრანგებს შამპანში შემოტევის დროს. შემდეგში, როდესაც ზარალის რაოდენობა ცნობილი გახდება, ყველა შეიგნებს თუ რა მცირე ზარალით მიაღწიეს ფრანგებმა ფრიად დიდ სტრატეგიულ რეზულტატებსო. ფრანგების გამარჯვება რამოდენიმე კილომეტრ ბრძოლის ველის დაპყრობაში კი არ მდგომარეობს, ფრანგების შეტევის მთავარი მნიშვნელობა ისაა, რომ ფრანგებმა ამ შემთხვევაში მიმართეს სრულიად ახალ შეტევითი ტაქტიკას. ამაშია უტყუარი საწინდარი საფრანგეთის თავდახსნისა გერმანელთა შემოსევისაგან. ფრანების უპირატესობა ნებას გვაძლევს ვიქონიოდ ყოვლად ოპტიმისტური იმედებიო.

პოლონეთში.

ვარშავაში ჩამოვიდა პროფესორი ლიუტერი (მახრჩობელა ბოლის გამომგონი) და წაიკითხა ლექცია გერმანეთის გეგმის შესახებ: ლექციამ დიდი ყურადღება მიიქცია. პოლონელთა შესახებ ლიუტერმა სთქვა:—პოლონელთა კეთილდღეობა და ბედი გამოიჭედება მხოლოდ გერმანეთის იმპერატორის სკიპტრის ქვეშ, სადაც იგინი სრულიად გაგერმანელდებიან. ლიუტერის ლექციას კეიზერის ნებართვით განიმეორებენ „Kulturluhd'a“ს წევრები.

ავსტრიის ჰაეროპლანი.

კამენეც-პოდოლსკზე ყოველ დღე დილაობით, გამოჩნდებოდა ავსტრიის ჰაეროპლანი. უკანასკნელ ვიზიტის დროს რუსებმა აპარატი დააზიანეს შრაპნელით. ჰაეროპლანი ჩამოვარდა. ავიატორი იქვე გარდაიცვალა,

პოლონელთა თათბირი.

ვარშავაში დღეს პოლონურ პარტიების ბელადების თათბირია გამართული. ვენიდან ჩამოსული არიან გამოჩენილი პოლონელი მოღვაწეები და პარტიების ბელადები. ვენური გაზეთი სჩივის, მოლაპარაკება მძიმე-მძიმედ მიდისო. გაზეთის აზრით რუსეთის პოლონელები რუსეთის ერთგულები არიან და გალიციის პოლონელებს უხდებათ მათი დარწმუნება, რომ ისინი ცდებიან თავიან შეხედულებაში. ეს გარემოება კი აჭიანურებს საბოლოო და სახელმძღვანელო დადგენილების მიღებასო.

გერმანელთა აზრი დასავლეთის ფრონტზე.

„Daily Telegraph“-ის გადმოცემით, კაიზერი ჩქარობს და შესაძლებლად მიაჩნია მოკავშირეთა ხაზის გარღვევა. ხოლო გენერლები, პრინცები ლეოპოლდ ბავარელი და ალბერტ ვირტემბერგელი იმ აზრისანი არიან, რომ გერმანეთს არ შეუძლიან ასე ადვილად გაჰგლიჯოს ინგლის-საფრანგეთის გამაგრებული ხაზი. ამასთანავე არც ინგლის-საფრანგეთს ძალუძთ გერმანელთა ხაზის გარღვევა. ამრიგად, მათის აზრით, გერმანელთათვის უმჯობესი იქნებოდა მარტო თავდაცვის ტაქტიკას დაადგნენ.

უკანასკნელი ფოსტა

სერბეთის ელჩი გავიდა სოფიიდან.

——

ბულგარეთის მომქმედი ჯარის სარდლობა მეფის რესკრიპტით დაევალა სამხედრო მინისტრს ჟეკოვს

ცვლილებები სამინისტროში.

ბულგარეთის პრემიერმა—აიღო გარეშე საქმეთა მინისტრის პორტფელი. ხოლო შინაგან საქმეთა მინისტრის პორტფელი, რომელიც დღემდე მას ჰქონდა, დაუთმო ყოფილ პრემიერს ქრისტო პოპოვს. ნიიდენოვი დაინიშნა სამხედრო მინისტრად ჟეკოვის მაგიერ, რომელსაც მთავარსარდალის ფუნქცია დაეკისრა.

ახალი ჯარი.

. 12 დიდ ტრანსპორტით სოლუნში ახალი ჯარი ჩამოიყვანეს სერბეთის მისაშველებლად. ტრანსპორტებს მოყვებოდა ფრანგის ორი ჯავშნოსანი და ერთი კონტრ-ნაღმოსანი.

სერბეთში.

ავსტრია-გერმანიის ჯარმა 467 დიდი კალიბრის ყუმბარა დააყარა რამ-გროდიშტეს რაიონს. ოკშიდან მოყოლებული პანჩევომდე ზარბაზანს ესროდენ ბელგრადის სიმაგრეებს და სერბთა გამართულ პოზიციებს. ბეჟანის სიმაღლიდან 200 ზარბაზნის ყუმბარა გამოისროლეს.

——

პეტროგრადში წასვლის პასპორტები ჩააბარეს ბულგარეთის ელჩს მაჭაროვს. ბულგარეთის ინტერესის დაცვა მიენდო შვეციის მისიას.

——

მინსკში საქალაქო მილიცია შესდგა. ჩაეწერა 309 კაცი. ქალაქის მაროველობა საინტენდანტო ნამცხვრებს ხალხზე ჰყიდის.

——

სალონიკში, ინგლისელთა ჯარები გადმოსხეს.

——

საბერძნეთის მეფე და ბულგარეთის ერთი-ერთმანეთს დეპეშას დეპეშაზე უგზავნიან.

ბულგარეთ-სერბეთის საზღვრებზე მოწინავე დარაჯებს ერთმანერთში ბრძოლა და შეჯახება მოსდით.

——

ავსტრიის იმპერატორი ფრანც-იოსები მძიმე ავად გახდა. ვენაში გაიწვიეს ტისა, ბურიანი და ტახტის მემკვიდრე.

——

ცნობილი ფრანგ მინისტრის, დელკასეს შვილი, რომელიც ტყვედ იყო წაყვანილი გერმანიაში, ურჩობისათვის 18 თვით ციხეში ჩასვეს.

——

მაკენზენი ზემლინს ჩამოვიდა.

——

რადოსლავოვმა პროტესტი გამოუცხადა საბერძნეთის ელჩს სალონიკში მოკავშირეთა ჯარის გადმოსხმის შესახებ.

——

მოკავშირენი ჰკრავენ ეგეის ზღვის პორტებს.

——

ფილიპოლში სომხებს აპატიმრებენ.

——

ინგლისმა ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუკვეთა 250 ბიპლანი ფრიად დიდი ზომისა, რომელთაც შეეძლებათ ოკეანეზე გადაფრენა.

——

შვეიცარიის გაზეთების ცნობით, სალონიკში მოკავშირეებმა 110.000 ჯარისკაცი გადმოსხეს. ამათაგან 75,000 ფრანგია. ინგლისი დამატებით არმიას ამზადებს.

ომის დეპეშები

კავკასიის ფრონტი. საზღვაო ნაპირებში, მდ. ორხოვის რაიონში, ხოვის სამხრეთით, რამდენიმე წვრილმანი შეტაკება მოხდა. ტორტუმის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით ოსმალთა მზვერავები თოფის სროლით უკან გაჰფანტეს.

პეტროგრადი, 27 ენკ. ოფიციალი. დასავლეთი ფრონტი. ნიცჰალის რკინის სადგურზე, დვინსკის ჩრდილოეთით, გერმანელმა მფრინავმა ყუმბარები ჩამოჰყარა. სოფ. პოშლინთან ბრძოლის დროს რუსებმა 150 ტყვე წამოიყვანეს ერთი ტყვიისმფრქვეველითურთ. მეტად სასტიკი ბრძოლა იყო სოფ. პოშლინისა და გორბუნოვკის რაიონებში, მხოლოდ საღამოს პირად რაოდენადმე შესწყდა. სოფ. გორბუნოვკა რამდენჯერმე გადადიოდა ხელიდან-ხელში, საბოლოოდ გერმანელთა ცეცხლს ველარ გაუძლეს რუსებმა და სოფელი დასცალეს. ამ სოფელზე

ჰაინეს ლექსები

ერთმანეთი თუმც უყვარდათ,
ერთმანეთს კი არ უმხელდნენ;
მტრულის თვალით შეჰხედავდნენ,
სუჩუმეში ტრფობას სძლევდნენ.
ბოლოს კიდეც განეშორნენ
მხოლოდ სიზმრად შეჰხვდებოდნენ;
დაიხოცნენ, დაიმარხნენ
და ოდნავაც არ უწყოდნენ!

⁂

ჟამი მიჰქრის, ჟამი მოჰქრის,
მოდგმა საფლავს ებარება;
მხოლოდ ჩემი სიყვარული
გულში მაქვს და არა ჰქრება!
ნეტამც ერთხელ კვლავ მენახე.
მუხლი შენთვის მომეყარა!
მეთქვა: ქალო, კვლავ მიყვარხარ:
თუნდ სამარე გაგეთხარა!

⁂

ტყეში დავალ, სევდა მათრობს,
ტოტზე შაშვი მონავარდობს
და ფრთა გაშლით ტურფად გალობს:
ეგ გულიო რაზედ დარდობს?
ჰკითხე, ჰკითხე შენს დას მერცხალს,
მოწმე არის, გეტყვის ნახულს;
მას მიჯნურის ფანჯარასთან
ბინა ჰქონდა წარსულ ზაფხულს!

⁂

შორს ქალაქი კიდევ მოსჩანს
დასანახად ბინდმოცული:
ღრუბელთ გუნდსა ემსგავსება
ციხე-კოშკი აღმართული.
ქარი ტალღას ახუჭუჭებს,
ზღვას მესაჭე გადაჰყურებს:
მენავე კი ნაღვლიახად
ჩემს ხომალდსა მიაცურებს.
მზემ კვლავ ერთხელ გაანათა,
დამანახვა კლდე ის მხარე,
სად დავკარგე საყვარელი
ლამაზი და მონარნარე!

სანდრო შანშიაშვილი.

სისხლის სამართლის კანონმდებლობა საქართველოში

მეფე ვახტან VI-ის კანონთა კრებულის მიხედვით)

(გაგრძელება, იხ. „საქართ.“ № 100).

დ) რაც შეეხება **მონების გაყიდვას,** უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს პოლიტიკურად არსებობის უკანასკნელ საუკუნეში, იმ ხანგრძლივ პერიოდში, როდესაც ხდებოდა სპარსეთ-ოსმალეთის გავლენა ამ მხარეზე, განსაკუთრებით გურია-სამეგრელოზე და იმერეთზე, საშინელ ზომამდინ მიაღწია. ეს ის შემოსავლიანი ხელობა იყო, რომლითაც ასე რიგად მდიდრდებოდა უმაღლესი წოდება. მონა-ყმის გაყიდვის შეჩერება, სასტიკი ზომების მიღება გაყიდულების გამოსასყიდლად, ყოველთვის სამღვდელო პირთაგან ჰხდებოდა: ეს წმინდა მათი მოვალეობა გახლდათ. ყმების გამყიდველებს სწყევლიდნენ, ეკლესიაში აღარ უშვებდნენ, სცდილობდნენ მთავრობის უმაღლესი მფარველობით ესარგებლნათ და ასეთი პირთათვის ჩამოერთმიათ მამულები ეკლესის სასარგებლოდ, ერთი სიტყვით, ზომა ათასი იყო და ჯარიმა კიდევ ორჯელ მეტი, „ვინც ყმების გაყიდვას მისდევს,—ვკითხულობთ კათალიკოზთა კანონების მეორე მუხლში,— იქნება ის დიდებული თუ უბრალო, აზნაური თუ გლეხი, ჩვენგან არ ასცდება წყევლა. ვისაც მოასწრეს ამ საქმეზე, უნდა აიძულონ ყმა ისევ გამოისყიდოს, ამის გარდა, გადაიხადოს ადგილობრივ ეპისკოპოზისა და ბატონის სასარგებლოდ ჯარიმა, რა თქმა უნდა, მისი ძალ-ღონის დაგვარად. ვინც ამას არ შეასრულებს, იგი ჩამოხრჩობილ იქნეს!“. წყევლას არ ასცდება ისიც, „ვინც ქრთამი აიღო და არ ჩამოახრჩობს მას“. მეტად მძიმე დანაშაულად ითვლებოდა სხვის ცოლისა, ანუ შვილის გატაცება, ცოლის გაყიდვის, სულ ერთია, მიჰყიდდენ მართლმადიდებელს თუ ურწმუნოს, სამ გზით ახდევინებდნენ სისხლს: ერთს ნათესავთა სასარგებლოდ, ხოლო ორ წილს ქმრის სასარგებლოდ (96 მუხლი).ასეთს შემთხვევაში კათალიკოსებს ძ მეფეებს უფლება ეძლევათ იმოქმედონ მკაცრად, მიჰმართონ ყოველგვარ საშუალებას, ვინაიდან, ამბობს მე-96 მუხლში,—ასეთი ვაჭრობა უმძიმესი დანაშაულობაა“. სხვის შვილის გაყიდვაზე კრებული დიდს ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, ქრისტიანს მიჰყიდდნენ თუ არა ქრისტიანს, ანუ ურწმუნოს, როგორც ამბობენ ხოლმე ასეთს შემთხვევაში. პირველ შემთხვევაში სისხლის სრული დაკმაყოფილება იყო საჭირო, ამასთანავე პირობა უნდა მიეცათ, რომ გაყიდულს გამოისყიდიდნენ, თუ კი ეს შესაძლებელი იყო. მეორე შემთხვევაში ორმაგი გადასახადი იყო დაწესებული: „ერთი გაყიდულის ხორცის ასანაზღაურებლად, ხოლო მეორე მის სულის საფასურადაო (მუხლი 97). ამას გარდა ბედი და უბედობა დამნაშავისა დამოკიდებულია თვით სასულიერო მართლმსაჯულებისაგან, რასაც კათალიკოსი განაგებდა. სამართლის ძალით სასტიკად ისჯებოდა, ვინც ძმას გაჰყიდდა ტყვედ. საზოგადოდ მე-47 მუხლის ბოლოში ნათქვამია, რომ ვისიმე გაყიდვა ურწმუნო ხალხის ხელში სასტიკად ისჯება მეფისაგან, ორმაგ გადასახადის გარდა სიკვდილით დასჯას არ ასცდებაო.

5. დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ.

საკუთრების ანუ ქონების მტაცებლობა უძველეს დროიდან ეკუთვნის დანაშაულთა კერძო დარგს. ამ დანაშაულის მრავალფეროვანი სახე თანამედროვე კანონმდებლობის მიხედვით მეტად დაწვრილებით არის გარჩეული. ძველს კანონმდებლობაში კი ამას არ ვხედავთ. კანონმდებლობის განვითარების ისტორიაში ჩვენ ვამჩნევთ, რომ უპირველესი ყურადღება მიუქცევიათ სხვის ქონების გატაცებაზე. უმთავრესად აღნიშნავენ ფარულ მტაცებლობას, ისიც ღამით. ძველ გერმანელთა შეხედულობით, როგორც ამას ამტკიცებს პროფ. ფაიანსკი, სასტიკად ისჯება ფარული მოქმედება, ვიდრე თვალნათლივი. მათის აზრით ასეთი საქციელი უმდაბლესი ღირსებაა, შელახვა კაცის კაცობისა, რაიც კანონიერ ზიზღს იწვევს ყველაშიო. შემდეგში, როცა ეკონომიურ განვითარებამ რაოდენადმე სძლია თავი, თავს იჩენს ახალი ტიპის მტაცებლობა, მოტყუებით, ფლიდობით, თვალთმაქცობით, ვერაგობით და ათასი სხვაგვარი საშუალებით.

ვახტანგის სამართალი ამ შემთხვევაში არჩევს სამგვარ დანაშაულებას: ა) ქურდობას, ბ) მძარცველობას და გ) თაღლითობას.

ა) ქურდობის შესახებ შეუდგენია ორი მუხლი მე-150—159. მე-150 მუხლში ნათქვამია, რომ თვითმსაჯულმა უნდა დაწვრილებით განიხილოს საქმე და აანაზღაურებინოს მონაპარიო. განსაკუთრებით ყურადღებას აქცევს ისეთ პირთ, რომელნიც რამდენჯერმე იქმნებიან შენიშნულნი ასეთს საქმეში. ყოველგვარი ქურდობა ამ მუხლის ძალით, ერთგვარად ითვლება, თუმცა მე-151, 152 და 153 მუხ. აღნიშნავს ზოგიერთ ქურდობას, როგორც დანაშაულობის განსაკუთრებულ სახეს: 1) თუ ქურდი შეიპარება საწოლში, სადაც ცოლ-ქმარსა სძინავთ და მოიპარავს მათს ქონებას, თუნდა, ვთქვათ, ტანთსაცმელს; 2) თუ მოიპარვენ ცხენსა ანუ იარაღს; 3) თუ ქურდი რაიმე ნივთს მოჰპარავს ქალს, ანუ მას თმას მოსჭრის, მაშინ მას აანაზღაურებინებენ ნივთის საფასურს, ამას გარდა, ნახევარ სისხლის ფასად აგებს პასუხს, რა თქმა უნდა, დაზარალებულის გვარისა და ღირსების დაგვარად. სხვა დანარჩენ ქურდობაზეო, ვკითხულობთ მე-154 მუხლში, მხოლოდ შვიდგზობის ჯარიმა გადახდებაო.

ეს ანაზღაურებული ხარკი განსაკუთრებულ სახით მოიხმარება, ე. ი. თუ დაზარალებული აზნაურია, ანუ თავადი, მაშინ ყველა ეს მის სასარგებლოდ გადიდება, თუ ივი გლეხია, მაშინ მას მონაპარი ორ გზობის ღირებულობით, დანარჩენი კი ხაზინის სასარგებლოდ მიდის. ლამბერტი განიხილავს რა სამეგრელოს მე-XVII საუკ. დადგენილებათ, სხვათა შორის ამბობს, რომ როდესაც დანაშაული არც ისე რიგად იყო საგულისხმიერო, მაშინ ქურდს ახდევინებდნენ 14-ჯერ მეტს, რაც მონაპარი ნამდვილად ღირდაო. ამ ჯარიმიდან ერთი მეექვსედი მეფის სასარგებლოდ იყო დანიშნული, მეორე მეექვსედი მსაჯულთა სასარგებლოდ, ხოლო დანარჩენი დაზარალებულისათვისაო. მონაპარის ანაზღაურება და უკან დაბრუნება კანონთა კრებულის სხვა და სხვა მუხლში სხვა და სხვა გვარად ინმარტება, რა თქმა უნდა, დაჯარიმების ზრდაც შესაფერისი იქნებოდა. ბერძნულ კანონების ძალით ქურდები ორ პირ საზღაურს გადიხდიან (duplum), როგორც ამას მოითხოვს რომაულ-ბიზანტიური კანონი, რაიც შემდეგ კანონთა მე-63 მუხლშია გატარებული). სომხურ კანონების ძალით ჯარიმის გადახდა დამოკიდებულია თვით ნივთის ღირებულებისაგან. ასე მაგალითად, თვითეულ ხარზე ანუ ძროხაზე ახდევინებდნენ ხუთ ხარსა და ძროხას, თვითეულ ცხვარზე ოთხ-ოთხ ცხვარს, ერთ ვირზე—სამ ნახევარს, წისქვილიდან მოპარულ საფქვავს ოთხ გზისას; ამანათის მოპარვაზე ანუ ნაპოვნ ნივთის დამალვაზე გადახდებათ ექვს გზობით (236). აქ, როგორც ამბობს მ. კოვალევსკი, აშკარა ზედგავლენაა ებრაულ კანონებისა კავკასიელ მთიელთა კანონებზე. სომხურ კანონების დადგენილება ქურდის შესახებ, განაგრძობს იგივე კოვალევსკი, გადატანილია ვახტანგის სამართალში, რომელმაც გადასახადი რაოდენადმე გაადიდა. მას მხედველობაში ჰქონდა ქართული ზნე-ჩვეულება, რათა ჯაშუშების წყალობით აღმოეჩინა მონაპარი. მათ სასარგებლოდ გადადებული იყო ნაზღვევის მეშვიდედიო [1]).

პირადი დასჯა ქურდობაზე ბერძნული და სომხური კანონების ძალით განისაზღვრება თვით გარემოების მიხედვითაც. სასჯელი მცირდება ანუ მკაცრდება იმის მიხედვით, თუ რა გარემოებაში მოხდა ქურდობა: „ქურდი ერქმევა იმას,—ვკითხულობთ ბერძნულ კანონების მე-325 მუხლში, ვინც უიარაღოდ ფარულად მოიპარავს. ასეთს არც ხორციელ სასჯელს აყენებენ, არც თუ სიკვდილით დასჯას. ვინც შეიარაღებული დაესხმის თავზე, მას ჰკლავენ ყოველგან, სადაც კი მოასწრებენ.“ ბევრად სასჯელის განცხოველებას ხელს უწყობს ზოგიერთა გარემოება, „ვინც საზოგადოდ პირველ ქურდობის გამო დაისჯე-

---

[1]) М. Ковалевскій, „Законы и обычай на Кавказѣ“, т. I, стр. 157.

გერმანელებმა ერთ იერიშის დროს ვიდი ტყვიისმფრქვეველი დაჰკარგეს და 250 კაცი. სოფ. პოშლინის რაიონში გერმანელები ჯერ იმარჯვებდნენ, მაგრამ შეღამებისას რუსებმა შეარეს სოფლის აღმოსავლეთით. დვინსკის სამხრეთ-დასავლეთით რუსთა არტილერიამ გერმანელი მფრივი ჩამოაგდო: იგი მტრის ზანაკისაკენ ეშვა. დვინსკის რაიონიდან პრიპიამდე არსებითი ცვლილება არ მომდარა. ლიახოვიჩეს ჩრდილოეთ რაიონში რუსის ქვეითა მზვერავებმა მარჯვედ გაითარეშეს, შეიჭრნენ მტრის ხრილებში. სადაც 200 კაცამდე ამოლიტეს, ხოლო სამი აფიცერი და 453 ჯარისკაცი წამოიყვანეს ტყვედ. არიდან მათ დიდი ზარალი არ მოსვიათ, სულ 50 კაცი დაჰკარგეს. პრიპიატის სამხრეთით გერმანელთა ერთმა ზმმა აიღო სოფ. ბერეჟნაია ვოლია. სოფ. ნოვოსტის რაიონში, მდ. სტისზე, არტორისკის ზემოდ, მტერმა მოახერა მდინარის მარჯვენა ნაპირზე გასვლა. კოლკის სამხრეთ-აღმოსავლეთით მილაშევის რაიონში, ბრძოლა ძლდება. სოფ. გარაიმოვსკას რაიონში მტრის კონტრიერიში მოგერიეული იქნა. ბუკოვინაში ჯერ მტერმა იტანა იერიში ბუჩაჩის აღმოსავლეთით, მაგრამ რუსებმაც თავისი მხრით უტიეს და უკან გაჰფანტეს. ტყვედ მოიყვანეს 110 კაცი.

პეტროგრადი, 26 ენკ. ოფიციალი. რიგის რაიონში სიწყნარეა. შალოკში გერმანელებმა რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდეს. მისჰოფში გერმანელთა იერიში შეჩერებულ იქნა. დვინსკთან სოფ. გორბუნოვკაში ბრძოლამ სასტიკი ხასიათი მიიღო. პოშლინთანაც გერმანელები იერიშებით მოდიან, თუმცა რუსებმაც დროზე უპასუხეს და მათი შეჩერება მოახერხეს. დანარჩენ ფრონტზე სმორგონ-ვრეულდას რაიონში, მდგომარეობა არ შეცვლილა. პრიპიატის ჩრდილოეთით გერმანელებმა კვლავ აიღეს სოფ. პოდჟოგი. დუბნოს ჩრდილოეთით სოფ. კონსტანტინოვის აღების დროს რუსებმა ტყვედ წამოიყვანეს 300 ჯარის-კაცები და 3 ტყვიისმფრქვეველი. მტერი მრავალგზით შეეცადა საპონოვის დაბრუნებას, მაგრამ ყოველთვის უკუგდებულ იქნა. ნოვოალექსანდროვის რაიონში სხვა და სხვა ადგილას ტყვედ წამოიყვანეს 36 აფიცერი და 1,575 ჯარისკაცი, 2 ყუმბარისმფრქვეველი და 8 ტყვიისმფრქვეველი. რუსმა ფრინავებმა ჩერნოვიცაში ყუმბარები ჩამოჰყარეს. ამ თარეშის დროს ერთი გერმანელი მფრინავი გამოეკიდა მათ, აფრინდა მაღლა, მაგრამ რუსმა მფრინავმა დაასწრო, ტყვია მოახვედრა. მათი მფრინავი მტრის ზანაკშივე დაეშვა.

საზოგადოებანი და კრებები

კრება მოსალოდნელ შიმშილობის გამო.

27 სექტემბერს კრება ჰქონდა იმ ბიროს, რომელიც 22 სექტემბერს არჩეული იქმნა შიმშილობასთან საბრძოლველად. თავმჯდომარეობდა მ. ვ. მაჩაბელი. კრებას დაესწრნენ წვრილი კრედიტის ინსპექტორები ბ-ნნი ღლონტი, გიორგობიანი, გრიგოლია და ნიჟარაძე. ბიუროს დავალებით, ჩრდილო კავკასიის მაზანდების შესახებ ცნობები შეუკრებია გომის სინდიკატის გამგეს თავ. ბაგრატიონ-დავითიშვილს, რომელმაც ცნობები გააცნო კრებას. შემოკლებით შინაარსი მოხსენებისა ასეთია. ფუთი ხორბალი ადგილობრივ (ჩრდილო კავკასიაში) ისყიდება 1 მან. 20 კაპ., აქ ჩამოტანილი რკინის გზის რომელიმე სადგურზე დაჯდება 1 60 კაპ., ფუთი სიმინდი ისყიდება ადგილობრივ 50—55 კაპ., აქ ჩამოტანილი დაჯდება 95 კაპ. ჰირნახული თანდათან ძვირდება, ასე რომ შემდეგში მეტი ეღირება პურიცა და სიმინდიც. ეს ფასები ბევრს დაესწრეს ეძვირათ და შესაფერისი ცნობებიც წარმოადგინეს, რომ ბევრად უფრო იაფი დაჯდება მოტანილი ჰირნახული. კამათის დროს თვალსაჩინოდ აღინიშნა, რომ გარემოება უკანასკნელ რამდენიმე კვირის განმავლობაში არსებითად შეიცვალა. როცა ეს ბიურო დაარსდა, მაშინ კერძო პირებზე დიდი იმედები იყო დამყარებული. შემდეგ საზოგადოებრივმა ძალებმა დიდი ენერგია გამოიჩინეს: შესდგა ორგანიზაციები კოოპერატივთ ზუგდიდისა, შორაპნისა და გორის მაზრებში; მომავალი თვის პირველ რიცხვებში გურიაშიც შესდგება ასეთივე ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციებმა იკისრეს ხალხის გამოკვების შესახებ საქმის მოწესრიგება და სათესლე მასალის შოვნა, ასე რომ უმთავრესი საზრუნავი ბიუროს ჩამოშორდა და კერძო ვაჭრების მიერ საკვების მიწოდების მხრივ ბევრგან საჭირო აღარ დარჩა. ზოგიერთმა ორატორმა შიში გამოსთქვა, ვაი თუ კოოპერატივთა ორგანიზაციებმა ან ფული ვერ იშოვონ, ან ნაკისრ საქმეს გამოუცდელობის გამო ვერ გაუძლვნენ და ხალხი განსაცდელში ჩავარდესო. ამის გამო ისინი ურჩევდნენ კრებას, კერძო თაოსნობას ფართე ნიადაგი დაეთმოს და ბიურომ იმათაც ხელი შეუწყოსო. კამათმა შემდეგ უფრო ნათლად გამოარკვია, რომ ბევრს ადგილას, მაგალითად, დუშეთისა და თიანეთის მაზრებში და ზოგგან თბილისის მაზრებშიაც, არავითარი კოოპერატივი არ სწარმოებს გარდა ამისა ზოგგან, საცა ორგანიზაცია შესდგა, ადვილი შესაძლებელია, ამ უკანასკნელმა ვერ შესძლოს საქმის სავსებით გაძღოლა და საჭირო დარჩეს კერძო თაოსნობა. მაგალითად, ზუგდიდის კრებას, რომელმაც ორგანიზაცია მოაწყო, განაჩენი დაუდგენია, რომ ჩვენი ორგანიზაცია საკუთარის ძალღონით თუ ვერ შესძლებს საქმის მოწესრიგებას, იმ შემთხვევაში კონტრაგენტები გვიშოვოს საქველმოქმედო საზოგადოებამო.

საგნის გამორკვევის შემდეგ კრებამ ერთხმად დაადგინა: 1) ბიურომ მოუპოვოს საკმაო რიცხვი ვაგონებისა სურსათის მოსატანად და სხვა დახმარება აღმოუჩინოს კოოპერატივთა ორგანიზაციებს, რომელთაც იკისრეს ხალხის გამოკვების საქმე, 2) კონტრაგენტები განსაზღვრულს პირობებში იმ ადგილებისათვის, საცა ორგანიზაციები არ არსებობს და 3) კერძო ინიციატივასაც ხელი შეუწყოს ვაგონების მიცემით იმ ადგილებისათვის, საცა ორგანიზაციები თავისის ძალღონით სავსებით ვერ გაუძლვებიან ნაკისრ საქმეს და კერძო ვაჭრების მხრივ საკვების მიწოდება საჭირო დარჩება.

დასასრულ ლაპარაკი აღიძრა იმ ღარიბ სოფლელებზე, რომელთაც მიტანილი საკვების ყიდვის შეძლება არ აქვთ და შიმშილისაგან განსაცდელი მოელით. კრებამ ამათ შესახებ დაადგინა, რომ მთავრობისაგან ითხოვონ დახმარება. ამისათვის მეფის ნაცვალს, დიდს მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს, უნდა წარუდგნენ თავად-აზნაურთა საგუბერნიო მარშლები, საქველმოქმედო და სასოფლო სამეურნეო საზოგადოებათა თავმჯდომარენი და სხვა ქართულ დაწესებულებათა წარმომადგენელნი და ხალხის გაჭირვება გააცნონ და შუამდგომლობა აღძრან დახმარების შესახებ.

—ნათქვამია ბერძნულ კანონების მე- მუხლში,—დაზარალებულის სასარგებლოდ გადაიხდის ორმაგ საზღაურს. უთ რიბია, მას სცემენ, თუ მონაპარი სამძი, მას განსდევნიან, ხოლო თუ ქურობა რამდენჯერმე გაუმეორებია, მას რიან ხელს. ასევე სჯიან იმ ქურდს, ც ლაშქრობის დროს მეომარს იას მოჰპარავს (318 მუხ.) არავითარი ლუარი არა ჰხდება, ვინც ღამის ქურდს კლავს, იმიტომ, რომ ა) ეს ქურდია, მეორეც, იმიტომ, რომ მკვლელს არ ძლო ცოცხალი დაეჭირა ქურდიო. ხლი მე-31-ე). დაჭერილმა ქურდმა ზარალებულის სასარგებლოდ უნდა აიხადოს იმ ნივთის ფასი, რომლის პარვაც ჰსურდა, მაგრამ გატაცება მოასწრო (223 მუხ.)

გიორგის კანონებში ქურდობის შესა ნათქვამია მე-44 და 45 მუხ., ვინც ენს მოიპარავს, ცხვარს, ძროხას, ანუ რომელიმე საქონელს, ანუ შინ შეული მოიტაცებს რასმეს, თუ მას ობენ, ანუ წამოეწევიან და შეიარაულ შეტაკების დროს შემოაკვდე, მაშინ რაოდენიც არ უნდა იყოს თი მტაცებელი, რამდენიც უნდა ავდეთ, არავისი სისხლი არ გადებათ მკვლელთ, არა თუ სისხლს ღებინებენ, პირიქით, მოითხოვენ, მძარცველთა ბელადი თავის ორი ნაგითურთ გაცემულ იქმნეს თუ ცებელთ მდევარი შემოაკვდებათ, თვითონ დაზარალებული, მაშინ ლი სისხლით აგებენ პასუხს და გაებულის სამგზის ღირებულებას გაიან (მუხლი მე-44). მე-45 მუხლში ქვამია, რომ თუ ქურდი აღიარებს ოდებას, მაგრამ ნივთის დაბრუნებაარს იტყვის, მაშინ ქურდს დაისხ, რასაც შედეგად მოჰყვება ის, რაც მნულია მე-45 მუხლში.

ჩამოთვლილ დადგენილებათა სი ნათლადა სჩანს, რომ ქურდობაზე ხის მგებლობა იმდენად სამძიმო ა, რამდენადაც ამ გვარ დანაშაუაში შედის ძალმომრეობა, მაშასადაქურდობა მძარცველობისა და ყაჩაის ხასიათს იღებს. მაგრამ რადგანაც ულში აღნიშნულია სხვაგვარი დადგლებაც, ამიტომ ჩვენც გადავდივართ განმარტებაზე.

(დასასრული იქნება)

პ. კიზირია.

ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების მორიგი კრება გაიმართება შაბათს, 3 ოქტომბერს, საღამოს $7^1/_2$ საათზე, თავ.-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში.

საუბარი იქნება ქართულ თეატრის მდგომარეობის შესახებ.

შესავალ სიტყვას წარმოსთქვამს ალ. ახმეტელაშვილი.

რადგანაც მოსალოდნელია კრებაზე ბევრი ხალხის დასწრება და დარბაზი კი ყველას ვერ დაიტევს, ამიტომ კრებაზე შეუშვებენ მხოლოდ ბილეთებით, რომელთა მიღებაც (უფასოდ) შეიძლება ,,საქართველოს‘‘ რედაქციაში (მოსკოვის ქ. № 4). საზოგადოების საქმის მწარმოებელთან გ. ჩხეიძესთან, შუადღის 12—2 საათზე. საზოგადოების წევრთ შეუძლიანთ ბილეთები მიიღონ სამშაბათიდან ხუთშაბათამდე, ხოლო არა წევრებს (დარჩენილი ბილეთები) პარასკევს და შაბათს.

ახალი ამბავი

—:—

მეფის ნაცვალი და კავკასიის მხედრობათა მთავარ სარდალი, დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, კვირას, 27 სექტემბერს თბილისიდან წაბრძანდა ოსმალეთის ფრონტზე.

◆ **ნახევარი მილიონი მანათი გადმოხვეწილთათვის.** როგორც ჩვენმა მკითხველებმა უწყიან, შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე სექტემბრის ათი რიცხვიდან, სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენლების მონაწილეობით, თათბირია გამართული იმის შესახებ, თუ რა დახმარება აღმოუჩინონ გადმოხვეწილთ. ქართველ საზოგადოების მხრივ თათბირში მონაწილეობას ღებულობს ნაფიცი ვექილი ბ-ნი დ. ჭიაბრიშვილი. ამ უკანასკნელისაგან ამას წინად ცნობა მოუვიდა გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშლის თანამდებობის აღმასრულებელს თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილს, რომ თათბირმა გადასწყვიტა გამოქცეულთა სასარგებლოდ კავკასიაში ნახევარი მილიონი გადასდოს და ამ ფულის გაგზავნას აპირობენ ერევანსა და ყარსშიო. თავ. დ. ე ჩოლოყაშვილმა მაშინვე დეპეშით სთხოვა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ ხსენებული თანხა მეფის ნაცვლის განკარგულებაში გამოგზავნეთო. 27 სექტემბერს თავ. ჩოლოყაშვილმა დეპეშა მიიღო ბ-ნ ჭიაბრიშვილისაგან, რომ ნახევარი მილიონი მეფის ნაცვალს გაეგზავნება, ხსენებულ საჭიროების თანაბარ დასაკმაყოფილებლად სხვადასხვა ეროვნების შვილებ-შორისო.

◆ **თავ. ა. დ. ციციშვილი,** ერობათა კავშირის რწმუნებულის თანაშემწე, საოფლით ავად გახდა და ამ დღეებში ყარსიდან თბილისს ჩამოიყვანეს საექიმოდ. მოთავსებულია იგი წმ. ნინოს ლაზარეთში.

◆ **დოქტორი მედიცინისა** რამდენიმე კვირაა, რაც შვეიცარიიდან თბილისს დაბრუნდა სიმონ ბენაშვილი. მან კურსი დაასრულა ჟენევის უნივერსიტეტში დ დოქტორ მედიცინის დიპლომი უბოძეს.

◆ **ქართველ გადმოხვეწილთა რიცხვი.** ბ-ნი დ. ჭიაბრიშვილი, რომელიც ქართველ საზოგადოების მხრივ მონაწილეობას ღებულობს გადმოხვეწილთა მდგომარეობის მოსაწესრიგებლად გამართულ თათბირში, შინაგან საქმეთა სამინისტროში, დეპეშით სთხოვს თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშლის თანამდებობის აღმასრულებელს თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილს, რომ შემატყობინეთ ქართველ გადმოხვეწილთა რაოდენობაო.

◆ **ხოლერა.** 27 და 28 სექტემბერს ქალაქის ლაზარეთში მოიყვანეს ხოლერიანი 5 და ხოლერის ნიშნებით 6 კაცი. გარდაიცვალა ხოლერიანი 1 კაცი. გუშინ, 28 სექტემბერს, ლაზარეთში იმყოფებოდნენ ხოლერიანი 120 და ხოლერის ნიშნებით 10 კაცი.

◆ **გადამდები სენი.** გუშინ, 28 სექტემბერს, ქალაქის საავადმყოფოში იმყოფებოდნენ: ქუნთრუშიანი 56, შავი სახადიანი 51, ხუნაგიანი 16, საოფლიანი 28 და მუცელაიანი 3 კაცი.

◆ **სურსათი.** თბილისში მოტანილია: ფქვილი 11 ვაგ., ხორბალი 1 ვაგ., კარტოფილი 1 ვაგ., ქერი 2 ვაგ., თევზეულობა 2 ვაგ., ნესვი 1 ვაგ., ჩაი 39 ფუთი, ქლიავი 100 ფუთი, ყველი 179 ფუთი, ერბო 23 ფუთი.

◆ **ქალაქის გამგეობის** მოსამსახურეთა შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის კასაში 230 მან. 60 კაპ. წევრთა შვილების სწავლის ფულის გასასტუმრებლად. თხოვნებს მიიღებს ამხანაგობის გამგეობა 4 ოქტომბრამდე.

◆ **თავისუფალი სტიპენდიები.** ქალაქის თვითმართველობას ამ ჟამად შემდეგი თავისუფალი სტიპენდიები აქვს: პირველ საქალებო გიმნაზიაში ერთი სტიპენდია; მეორე საქალებო გიმნაზიაში ერთი სტიპენდია დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძისა; მესამე საქალებო გიმნაზიაში 3 სტიპენდია გოგოლის სახელობისა; მეოთხე საქალებო გიმნაზიაში ერთი სტიპენდია თბილისში დაბადებულთათვის; მეხუთე საქალებო გიმნაზიაში ერთი სტიპენდია; მეხუთე ვაჟთა გიმნაზიაში 2 სტიპენდია შამხოროვის სახელობისა და რეალურ სასწავლებელში ერთი სტიპენდია სომეხთათვის.

◆ **ქალაქის გამგეობამ** გასულ თებერვალში წყალსადენის მილები შეუკვეთა მაკიევსკის ქარხანას ეკატერინოსლავის გუბერნიაში. ეს მილები უკვე მზად იყო აპრილის პირველ რიცხვებში. გამგეობისა და გუბერნატორის თხოვნით სამხედრო მიმოსვლათა უფროსმა, გენერალმა კარპოვმა, 11 აპრილს განკარგულება მოახდინა, რომ 2 ვაგონი მიეცათ გამგეობისათვის მილების გადმოსატანად, მაგრამ ჯერ კიდევ არ მიუციათ ვაგონები და გამგეობა ვერ ეღირსა მილების მოტანას.

◆ **დამალული კვერცხები.** 28 სექტემბერს ქალაქის გამგეობის აგენტებმა აღმოაჩინეს ვიღაც არნაუტოვის ბინაზე დამალული სამი ათასი ცალი კვერცხი, რომელიც პატრონს ჩამოართვეს და არსებულ ფასებში გაჰყიდეს.

◆ **ოქმები.** 27 ოქტომბერს პოლიციამ 28 ოქმი შეაყენა ქუჩაში რძის გამყიდველ დედაკაცებზე დაწესებულ ნიხრზე ძვირად რძის გაყიდვისათვის.

◆ **მცხეთობა.** მცხეთაში წასული იყო გორის ეპისკოპოსი ანტონი, რომელმაც განკარგულება მოახდინა დღესასწაულის გარდახდის შესახებ და ტბილისშივე დაბრუნდა. მწირველი იქნება საქართველოს ეგზარხოსი პიტირიმი ეპისკოპოს ანტონის თანამსახურებით. იმ დღისათვის ეგზარხის განკარგულებით იბეჭდება ქართულს ენაზე ხალხისათვის უსასყიდლოდ დასარიგებლად წიგნაკი, რომელშიაც აღწერილია მცხეთის ტაძრის ისტორია.

◆ **დ. ლოლაძის საკაცე.** 27 სექტემბერს განსაკუთრებულმა კომისიამ, რომელშიაც შედიოდნენ ქალაქთა კავშირის ამიერ-კავკასიის განყოფილების რწმუნებული პ. მ. დოლუხანოვი, ი. ა. თამამშევი, მეოთხე ტრანსპორტის უფროსი ა. გ. ბებურიშვილი, პირველი ტრანსპორტის უფროსი გოფმანი და სხ., გასინჯა დ. ი. ლოლაძის გაკეთებული საკაცე, რომელიც მოიწონა და მოხერხებულად იცნო დაჭრილ-ავადმყოფთა გადასაყვან-გადმოსაყვანად. კომისიამ ჯერჯერობით შეიძინა ბ-ნ ლოლაძისაგან 170 საკაცე.

,,კავკაზსკოე სლოვო‘‘-ს მწუხარება.

ცნობილი ორგანო დოლუხანოვ-ხატისოვისა, „კავკაზკოე სლოვო“, დიდის „მწუხარებით“ უპასუხებს „სახალხო ფურცელს“:

„რუსის საზოგადოებრივი აზრი ქართველი ხალხის ეროვნულ საჭიროებისადმი მხოლოდ მაშინ გამოიჩენდა მზრუნველობას, დაწვრილებით რომ ყოფილიყო დასაბუთებული ნამდვილი მოთხოვნილებანი ქართული ეროვნულ ცხოვრებისა. ასეთი ფორმულა, საუბედუროდ, ჯერ-ჯერობით არ არსებობს ქართველთა შორის, რომელნიც ჯერ არ შეთანხმებულან“...

ქართველ მკითხველისათვის ნათელია „კავკაზსკოე სლოვო“-ს „მწუხარების“ მიზეზი:

თურმე ის ყოფილა, რომ ქართველები „ჯერ არ შეთანხმებულან“ და რასაკვირველია მოუთმენლად ელის იმ ბედნიერ წუთს, როცა „ქართველები შეთანხმდებიან“, რომ „რუსის საზოგადოებრივმა აზრმა ქართველ ხალხის ეროვნულ საჭიროებისადმი მზრუნველობა გამოიჩინოს“.

მაგრამ ვახარებთ შეწუხებულ „კავკაზსკოე სლოვო“-ს, რომელიც თავის „ხეების იქით—ტყეს არ ხედავს“.

ქართველები მშობელი ერის ინტერესების თავდაცვაში [illegible] შეთანხმებულნი არიან—სა[illegible]!.. [illegible]!.. [illegible]! და თუ გნებავთ, დღეს უფრო შედუღებულნი არიან,—ერთ დროს მიყუჩებულ, მაგრამ დროზე გაღვიძებულ სიყვარულით თავის სამშობლოსადმი და მის დაცვის წყურვილით სხვა და სხვა „შეწუხებულ მეგობრებისაგან“.

რაც შეეხება „დაწვრილებითი დასაბუთებას ქართველების მოთხოვნილებებისას

იმედია სიცარიელე„ შევსებული იქნება „დასაბუთებულ ნამდვილ მოთხოვნილებით ქართულ ეროვნულ ცხოვრებისა“ და მაშინ „კავკაზსკოე სლოვო“ დარწმუნდება, რომ მისი „მწუხარება“ ნაადრევი იყო და მისი გაშუქება ქართულ ეროვნულ ცხოვრებისა—ტენდენციური და ყალბი.

ყოველ შემთხვევაში კი კარგი იქნება, რომ „კავ. სლოვომ“ დაუპატიჟებელ ვექილობაზე ხელი აიღოს.

მით უფრო, რომ მის ვექილობისაგან არავის ხეირი არ მოსდის და არც მოუვა.

მარტო თუ მისი დღევანდელი მესვეურები იხეირებენ.

ეკალი.

პროვინციის ქრონიკა

დაბა სენაკი.

ამ სამოსწავლო წლის 1 ოქტომბრიდან დ. ახალ-სენაკში იხსნება კერძო ოთხკლასიანი სასწავლებელი ქალ-ვაჟთათვის, მოსამზადებელ განყოფილებებით.

ბორჯომის ხეობა.

ბორჯომის ხეობიდან იტყობინებიან, წელს ძლიერ ცუდი მოსავალია, ადრე აცივების გამო ყურძენი და ხილეულობა სრულებით არ დამწიფებულა.

ზუგდიდი.

აქ მოხდა ყრილობა თბ. ქართულ საქველმოქმედო საზ. მდივნის ბ. საყვარელიძის თავმჯდომარეობით, რომლის მიზანიც იყო დ. ზუგდიდში ხსენებულ საზოგადოების განყოფილების გახსნა, ხალხმა გულმოდგინედ მოისმინა თავმჯდომარის განმარტება და აღძრულ საკითხის განხორციელება სასურველად სცნო.

სოფ. ვაზიანი.

სად. ვაზიანის (კახეთი) უფროსს გ. მუცუმოვს აღლუმის დროს საფეხურიდან ფეხი დაუცდა და მოჰყვა მატარებლის ქვეშ, რამაც მარცხენა ფეხი მოსწყვიტა.

ბაქოს მაჰმადიანები აჭარლებს ეხმარებიან.

ბაქოს საქ. მაჰმ. საზოგადოების თხოვნით დეპ. ჯაფაროვმა ბათომის გუბერნატორს ნებართვა გამოსთხოვა აჭარელთა დასახმარებლად.

ბათომის ცხოვრება.

აქაურ სასწავლებლებს დიდძალი მთხოვნელი აწყდება. 400-მდე ბავშვია. სამოსწავლო კომისიას მსჯელობა აქვს, რათა ბათომის სასწავლებლებში მოეწყოს ნაშუადღევის შემდეგ მეცადინეობა, სადაც ისწავლიან სკოლის გარედ დარჩენილები... ადგილობრივ ქართულ სკოლაში 15 სექტ. მეცადინეობა დაიწყო. მომხმარებელ მაღაზიის „ბათომი“-ს საზოგადოების საქმე სასურველად მიდის. წევრებად ხალისით ეწერებიან.

ქუთაისის ამბები.

როგორც ქუთაისიდან იტყობინებიან სანოვაგის ფასმა დიდად აიწია. მოვაჭრესა თავგასულობას საზღვარი არა აქვს. რამდენსამე დღის შაქრის შოვნა გაძნელდა. თურმე ზოგიერთ ვაჭრებს სარდაფებში ჩაემალათ. ადგილობრივმა პოლიციამ, ქალაქის ხმოსნების თანადასწრებით, გაჩხრიკა რამდენიმე სარდაფი და აღმოაჩინა ცხრა ათას ფუთზე მეტი შაქარი.

ფოთის ამბები.

საურთიერთო ნდობის საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ვ. მ. ჯაფარიძე. მოკლე ხანში ლოლუას სკოლის სასარგებლოდ გაიმართება სეირნობა.

რომანოვების ვაჟთა გიმნაზიაში ქალაქის საბჭოსგან არჩეულ იქმნენ: ა. ი. ტყემალაძე, ვ. მ. ჯაფარიძე, ს. პ. ოსიძე და მ. ა. საბახტარაშვილი. ქალთა გიმნაზიაში: ა. ვ. მიქაბერიძე, ს. ფ. ხოშტარია, მ. ლ. აბაშიძე და კ. დ. გაბუნია.

კახეთში ჩარჩები.

როგორც სიღნაღიდან და თელავიდან ჩამოსულნი მოგვითხრობენ, სოფლებში აუარებელი ჩარჩები დაიარებიან და მდაბიო ხალხში ხმას ავრცელებენ: „ღვინის გაყიდვის ნებას სამუდამოდ მოსპობენ, ღვინის პატრონებს ქვევრებში დაუმჟავდებათ ღვინო, სჯობია ეხლავე გაყიდონ პატრონებმაო!“

ასე რიგად აშინებენ და შემდეგ თვითონვე ევაჭრებიან, მოიტა ჩვენ მოგვყიდეთო. ხალხი რაღაც შთაგონებით ჩარჩვაჭრებიდან შორს იჭერს საქმეს, მაგრამ

ზოგიერთი ღვინის პატრონი მაინც მოჰყვა მათს კლანჭებს, რადგან მისგან ჩარჩს ან წინდაწინვე უყიდნია და ფული მიუცია, ან და გლეხს ვალი ჰმართებია და მას აუძულებია ღვინო დაბალ ფასში გაეყიდნა.

კახეთში საპანე ღვინო (32 ფუთი) 200—225 მანეთად ფასობს, რაიც მეტად იაფია შედარებით სხვა სიძვირესთან. მოსალოდნელია, რომ საპანე ღვინო 300—400 მან. და უფრო მეტადაც ავიდეს, რადგან კახეთში ღვინის მოსავალი ძალიან ნაკლები იყო. ასე რომ ვისაც უნდა მოსვლოდა 10 საპანე, მოუვიდა ერთი ან ორი.

რუსეთის ცხოვრება

სანოვაგის ნაკლებობა მოსკოვში. უკანასკნელ დღეებში მოსკოვს დაეტყო პირველ მოთხოვნილებათა სანოვაგის ნაკლებობა.

გამომცხვარი პური იშვიათად თუ სადმე იშოვებოდა, იგიც დაბალ ხარისხისა.

ამას წინედ მომხდარ სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მთელი რუსეთი ახლო-მომავალში სულ უპუროდ დარჩება, უკეთუ ეხლავე არ იზრუნებენ ფქვილის შოვნისთვის.

კრებამ დაადგინა, დეპუტაცია გაუგზავნოს ქალაქის უფროსს, რათა ახლო მომავალში პურის ფქვილი შემოტანილ იქნას მოსკოვში.

——

მოსკოვის ქალაქის უფროსმა გენერალ მაიორ ე. კ. კლიმოვიჩმა დეპეშით მიჰმართა მოსკოვის რაიონის ცენტრალ კომიტეტის თავმჯდომარეს, სადაც აღნიშნავს მოსკოვში შაქრის ნაკლებობას და სთხოვს მას მიიღოს ზომები, რათა მოსკოვში შემოტანილ იქნას შაქარი.

ისევ ხურდა ფული. განსაკუთრებულ თათბირზე, რომელიც ამ უკანასკნელ დროს მოხდა, გამოირკვა, რომ ომის დაწყებამდე, სახელმწიფო ბანკში ხურდა ფულის ჯამი ყოფილა ორასი მილიონი მანეთი, რომელიც თითქმის აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას. ეხლა ზემოდ მოყვანილი ჯამი აუყვანიათ სამას მილიონ მანეთამდე. თათბირმა რეზოლიუცია გამოიტანა: ვერცხლის ფულის ჯამი ხუთას მილიონ მანეთამდე აიყვანონ.

ღვინის მოუსავლობა სამეგრელოში.

მეღვინეობა სამეგრელოში, სიმინდის მოყვანის შემდეგ, შეადგენდა ერთ უმთავრეს დარგს მეურნეობისას და აძლევდა საგრძნობელ სალსარს ცხოვრებისას ყოველს მეოჯახეს ჩვენში. ერთი ხანია, რაც ფილოქსერამ მოსპო ეგრედ წოდებული ადესა ანუ იზაბელა, რომელიც უხვს მოსავალს იძლეოდა სამეგრელოში, მაგრამ ხალხმა მიჰყო ხელი ამერიკულ ვაზზე ნამყენ ვენახების გავრცელებას და ამ ბოლო ხანებში დიდძალი ადგილი ეჭირა ასეთ ვენახებს და საკმაო მოსავალსაც იძლეოდა. მაგრამ წრეულს მუდმივმა წვიმებმა, ერთის მხრით, და წამლის სიძვირემ, მეორის, სრულიად მოსპო მთელს სამეგრელოში ღვინის მოსავალი. ყურძნის გემოც არავის უნახავს და ღვინო ხომ საზიარებლადაც არ გვექნება.

აღსრულდა! იოლად გატარდება ცხოვრებაში რუსეთის მთავრობის კანონი ჩვენში ღვინის სმის და ვაჭრობის აღკრძალვის შესახებ.

ეტყობა ბუნებაც თანაუგრძნობს ბრძენ კანონმდებელთ.

კაი.

პროვინცია

სცარცვავენ კახეთს.

დღეს, საქართველოში არაა არც ერთი კუთხე, არც ერთი ქართველთა სოფელი, რომ საშინელს გაჭირვებაში არ იმყოფებოდეს, შიმშილი გზირივით არ აჰყუდებოდეს კარებზედ, რაზედაც მთელი ქართველობა, მთელი ინტელიგენცია თუ მაღალი წოდება (არისტოკრატია) საშინელს საგონებელს მისცემია და ეძებს საშუალებას ამ დამღუპველ მდგომარეობის ასაცილებლად, რომ მისი სრულიად მოსპობა თუ ვერ შესძლეს, შესამჩნევად მაინც შეამსუბუქონ და ამით გადაარჩინონ ბედშავი ქართველი ერი დალუპვისაგან. ამ გაჭირვების შესახებ, ყოველის მხრიდან მრავალსა სწერენ გაზეთებში და მოუწოდებენ საზოგადოებას დახმარების აღმოსაჩენად. მაგრამ კახეთის შესახებ ხმას არავინ იღებს; ხალხს დახმარება ეჭირვება; დახმარება არა მარტო სასმელ-საჭმელის გაგზავნით გამოიხატება, არამედ დახმარებაა საჭირო შემდეგ გარემოებაში მაინც:

კახეთის მთელი წლის ნაშოქმედარის დამუშავება დამთავრდა, რის შემდეგაც გამოირკვა, რომ ხალხი დღითი-დღე უარესი გაჭირვებისაკენ მიაბიჯებს. არა ერთხელ თქმულა, რომ კახეთში ხალხს ვენახებით უდგას სული, იგია ერთად ერთი მათი მაცხოვრებელი. ისიც მოგეხსენებათ, რომ აქ სახნავი მამულები ძალიან ცოტაა, ყველას არა აქვს, და რაც არის ისიც უკაცობით მეტი წილი დაუთესელი დარჩა, ხოლო რაც ნახნავი იყო იმასაც შესამედს ძლივს გამორჩნენ. ვენახების რთვლებიც ამ ორიოდე დღეში დამთავრდება, მაგრამ სინამდვილემ უკვე გვამცნო, რომ ვაზებს ყურძენი კი არ შერჩა და აბა რას დასწურავდნენ, ქვევრებში რას ჩაასხავდნენ? დიდი ვენახების პატრონებიც, რომელთაც 40—60 ბოჭკა ღვინო მოსდიოდათ, დღეს ისინი თითო ოროლა საპანობით-ღა ლაპარაკობენ, ბოჭკობით ღვინოზედ ხმის ამოღება აღკრძალულსა ჰგავს, რადგანაც ამისთანა ბედნიერნი თითო ოროლანი თუ მოიპოვებიან. აქედან ადვილი წარმოსადგენია, იმ ღარიბ ხალხს, ვისაც აღარა ჰქონდათ საშუალება, ან უკაცობით ვენახს ყურადღება ვერ მიაქციეს, იმათ რამდენი დაუდგებოდათ? მაგრამ რაც არის იმისთვისაც ჭილყავებივით აირევიან ღვინის მყიდველი ჩარჩები. აი ამ კრიტიკულ დროს, როდესაც ყოველი მაწანწალა სირაჯის სახელით შემოესია კახეთს და სცდილობენ ამ უკანასკნელის მუქთად წაგლეჯას, ამიტომ საჭიროა, ამას ჩქარი და სასტიკი ყურადღება მიექცეს, რომ ისედაც ცარიელი ხალხი უარესად არ დააცარიელონ. ეს ქართველთა ლუკმით დასუქებულნი, არა კმარობენ რასაც საკუთარი ოინბაზობით ატყუებენ, ამათ სირაჯის სახელით ისეთებიც მოლალეს და დაუსიეს კახეთის სოფლებს რომელთა დალალობა დღემდის ავლაბრის ბაკებს არ გასცილებია. მათი მოქნილი ენის დახმარებით ეშურებიან ჩქარა მოხვეტონ მთელი კახეთის ღვინო, რომ სამხედრო უწყებას აღარ შეეძლოს კახეთში ღვინის ყიდვა, ვინაიდან ისინი ჩარჩებთან შედარებით საგრძნობელ მეტს ფასში იყიდიან, და ეს კი ამ ვაჟბატონებს არ ეჭაშნიკებათ. სწორედ ამ მტაცებლობის დროს ჩვენს ხალხს სძინავს, განსაკუთრებით სოფლის ინტელიგენციას, რომელნიც საკმარის რიცხვსაც შეადგენენ კახეთის სოფლებში. პირიქით ისე უყურებენ ამ მოვლენას, თითქოს მათს გარეშემო არაფერი ხდებოდეს. მათს ამგვარად ყურის მოყრუებაზედ მაგონდება ქართული ანდაზა: ჩემს იქით, რომ კაცს თოფი მოხვდეს, ვითომც კუნძს მოხვედრიაო!.. გულცივნი არიან სოფლისთვის ეს ვაჟბატონები, არა მეცადინეობენ რაიმე გავლენა მოახდინონ ამ ვაჭრის სახელით შემოსეულების წინააღმდეგ, რომელნიც ანიავებენ კახეთის სოფლებს, მუქთად იბევებენ ახალ ღვინოებს; მუქთად-მეთქი ვამბობ იმიტომ, რომ თუ კი იმ საქონელს, რაც ქართველთა ნაშრომს არ ეკუთვნის, ყველა იმას ერთი-ორად ფასი დაედება, და განა რა გახდა ქართველთა ნაშრომი, რომ უსათუოდ იაფად იყიდებოდეს? ნუ თუ ამ ჩვენს ვაჟბატონებს გაზეთებში არ წაუკითხავთ, რომ მთელი კახეთის ღვინოს სამხედრო უწყება ყიდულობს, რაზედაც ქართველ საზოგადოებას დახმარება მოსთხოვეს, და ღვინის ფასიც ვედროზე რვა მანეთამდის დაასახელეს? მაგრამ ჩარჩი რის ჩარჩია თუ კი ის რასმეს შეუფერხდება და მინამ ქართველი ჩვეულებრივ ზანტად თვალებს მოიფშვნეტს, გამოფხიზლდება, ის თავის ათასგვარი მატყუარობით სავსე ოინბაზობას არ გაასაღებს და გამარჯვებული არ დარჩება? ისიც, ძველთაგანვე კახეთის სულსა და ხორცში ტკიპივით ჩაკრულნი სწუწნიან ლუკმასა და სიცოცხლეს, რომ ერთხელაც არ შენძრეულა ამ პარაზიტებისაგან კბენით შეწუხებული.

დღეს სხვა ოსტატობით დაესივნენ კახეთს, უმწეოდ დარჩენილ დედაკაცებს ათასგვარი მატყუარობით აშინებენ, საპანე ღვინოს 15—20 თუმ. ყიდულობენ და იქვე, ამ ნაყიდ ღვინოში, მევენახეს ქვევრშივე ვაჭარი 35—40 თუმნამდე აძლევს მათ, ასე, რომ დღესვე ჩარჩი პატრონის ქვევრშივე ორჯელ მეტს ღებულობს. შეიძლება ითქვას: 15—20 თუმანი საპალნეში განა ნაკლები ფასიაო? დიახ ნაკლები ფასია. რაც უნდა იაფად იყიდონ, მაინც მომხმარებლებზედ იაფად არ გაჰყიდიან, ამას გვიჩვენებს წარსული წელი: საპანე 5—9 თუმანში მოხვეტეს მთელი კახეთის ღვინო, მაგრამ ნახევრად წყალ გადარეულს რვა-ცხრა მანეთად ჰყიდიან ვედროს. ესევე იქნება წელსაც. ამიტომ განა სასურველი არ უნდა იყოს მევენახემ მაინც ისარგებლოს თავის ნაშრომში?

ერთმა ვერაზედ მოვაჭრე სომეხმა ვითომც მწუხარებით წარმოსთქვა: ახარ! რა დროს მოვესწარ? ხუთმეტ თუმნობაზედ ოცდაათიოდე საპანე ვიყიდე და არ ვიცი ამ ფასში კიდევ ვიყიდით თუ არაო. ზოგიერთ ვაჭრებს, თვით სოფლის წვრილი გლეხი ჩარჩები დაუქირავებიათ, რომ მეზობელს მეზობელი ატყუებინონ და ამგვარად გამოაცალონ ხალხს ქონება. ამგვარი ქართველნიც ჩარჩებისაგან ორიოდე გროშად იუდურად შესყიდულნი ისე დაბრმავებულან, რომ არ უფიქრდებიან თვისს საქციელს რა დიდი ვნება მოაქვთ თვისი მოძმისა და მეზობლებისათვის! ამგვარი დაცარიელებულმა დედაკაცებმა გურჯაანში, ჩვენთან ლაპარაკის დროს, ტირილით გვითხრეს: გვეუბნებიან, თუ ეხლა არ გაჰყიდით ღვინოს, მერე გაყიდვა აღკრძალული იქნება და ვეღარ გაჰყიდითო. მაშ რა გვექნა, რომ არ მიგვეყიდნა? დღეს ფუთ ფქვილში 3 მ. 20 კ. ვაძლევთ, და შოვნა არ არის, თუ მერე, როგორც გვეუბნებიან, ფქვილი აღარ მოვა რუსეთიდგანაო, მაშინ რა ვუყოთ ბაშვებს, რიღათი შევინახოთ?

აი ახლა რანაირი ოინბაზობა დაუწყიათ კახეთში და რანაირად სცარცვავენ და ისედაც სუსტ დედაკაცებს როგორ უხეთქავენ გულებს, რომ ეს უკანასკნელი სახსარიც გამოაცალონ და ბოლოს ჯერი მიდგეს მამულზედ, რასაც არა ერთი მადა-გაღვიძებული ეხლა ევაჰრება გაჭირვებულებს, რომ ამით შეივსონ ის დიდი ხნის ნატვრა, რაიცა აქამდის მათ მოსვენებას არ აძლევდათ. და აი დადგა მათთვის ეს ნეტარი დროც და სცდილობენ ხელიდან არ წაუვიდეთ... ამავე დროს კი ის ჩვენი ვაჟბატონნი, რომელთაც იარლიკივით აკრავთ ენაზედ: ღარიბთა შველა, მათი განათლების ხელის შეწყობა და სხვა, **რას აკეთებენ? რას აკეთებენ, ან რასა გრძნობენ, როდესაც მათს სოფლებში, მათს გარშემო მეზობლებში ამგვარი ვაჟბატონები დანავარდობენ** და ისედაც განიავებულს ოჯახს უარესად ანიავებენ? აქ კიდევ მომაგონდა ქართული ანდაზა: სხვათა ჭირი, ღობეს ჩხირიო. ეს თქვენზედ ზედგამოჭრილი ანდაზაა.

ყველგან მყოფი.

——

თერჯოლის საზოგადოება.

(შორაპნის მაზრა). „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია“-ო, სწორედ აქაურ მცხოვრებლებს შეუთვისებიათ ეს ანდაზა და კვლავ განაგრძობენ ისევ ქელეხით და უზომო ხარჯით მიცვალებულის დასაფლავებას, ქორწილების და დღესასწაულების ამნაირ ხარჯითვე გატარებას, რაც ძლიერ დიდ ზარალს აძლევს ისედაც დაღარიბებულ აქაურ მცხოვრებლებს. თუ რამე უთხარი მათ ამის შესახებ, მაშინვე ამნაირ მზა სიტყვებს მოგაყრიან ერთხმად; ჩვენ სოფელში ამნაირი ჩვეულება გვქონია და გვექნება კიდეც“. მოდი მითხარი ამისთანა დაუჯერებელ ხალხთან რა უნდა გააწყონ ამ საზოგადოების სოფლების მღვდლებმა და მედავითნეებმა, რომლებიც ერთმანეთის შემწეობით ყოველ ღონისძიებას ხმარობენ და უქადაგებენ ხალხს ამისთანა ჩვეულებების გადაგდებას, მაგრამ საუბედუროდ, ეს ქადაქება-ქადაგებებად რჩება და ხალხი კვლავ განაგრძობს ამნაირ ჩვეულებების პატივის ცემას.

დღეს როგორც გაზეთებმა შემატყობინეს, ქართლში, კახეთში და ზოგან იმერეთშიაც გაუმართავთ კრებები ამგვარ ჩვეულებების მოსასპობად სოფლებში და მის ნაცვლად უფრო სასიამოვნო და სასარგებლო წესწყობილების დასაცავად ყველა სოფლებში რაც უკვე სისრულეშიც მოუყვანიათ.

სად არიან ამ დროს აქაური მოწინავე პირნი, როდესაც სხვა საქართველოს კუთხეებში საჭიროდ სცვნეს ამნაირი ჩვეულებების მოსპობა, რატომ იგინიც არ წაბაძვენ მათ?

შალვა რუფოთელი.

——

ქ. გორი. გორის ჩვეულებრივი მდგომარეობა ქალაქის თავის გადაგომით დაირღვა. ახალი არჩევნები 20 ოქტომბრისთვისა დანიშნული. ქალაქის ახალ თავად ასახელებენ ლ. გრიგოლაშვილს. არის მეორე კანდიდატიც მიხეილ ყიფიანი. რა ღირსებისაა ერთი ან მეორე კანდიდატი, ამას თვით გორელებიც კარგად გაარჩევენ, თუ კი ოდნავი დაკვირვების უნარი აქვთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ დროა მომწიფდეს საზოგადოებრივი აზრი, დროა ყოველ საგანს თავისი ნამდვილი სახით ჰხედავდნენ. პროვინციის პატრონი ისევ პროვინციაა, ჩვენი ცენტრი, თბილისი, იმდენად არის დარახტული პირადი საქმით, რომ ჩვენი რჩევა-დარიგებისთვის არა სცალიან. ერთი უდიდესი მოვალეობაა გაბატონება სასურველი ელემენტების, რომ ჩვენი ცხოვრება მოეწყოს ჩვენდა სასარგებლოდ. გორი მთელი ქართლის გასაღებია. გორი წმინდა ქართული ქალაქია. მაშასადამე, უნდა აირჩეს ნამდვილი მუშაკი, ქართულ ტკივილების მგრძნობიარე ადამიანი, ჩვენი ცხოვრებით დიდად დაინტერესებული და მოძრავი ადამიანი. თუ ასე არ მოვიქცევით, მაშინ რეზულტატად მივიღებთ მწვავე შედეგებს, თუნდა ისეთს, როგორიც ადგია დღეს ჩვენს დედა ქალაქ თბილისს უცხო ელემენტთა გაბატონების გამო. აქ, ამ მხრივ რაოდენადმე უზრუნველყოფილი ვართ, მაგრამ მხოლოდ რაოდენადმე და მეტი არაფერი. თუ დავუდევრობას გამოვიჩენთ, შესაძლებელია თუ ახლო მომავალში არა, მომავალში მაინც ნიადაგი მოვუმზადოთ გორს გადასაგვარებლად. ჩვენ ხელთავეა ჩვენი ხსნა, მით უმეტეს ხეირიან ქალაქის თავის არჩევაზეა დამოკიდებული, ვინაიდან იგი აძლევს მთავარ ტონს მთელი ქალაქის წარმატებას, „მის აღორძინებასა და დაცემას. ვუსურვოთ გორის მომავალ არჩევნებს სასურველ კანდიდატის გაყვანა...

სანდრო გორელი.

წერილი რედაქციის მიმართ

გაზ. „საქართველოს“ ოთხმოცდა მერვე ნომერში დაიბეჭდა წერილი დიდუბის ეკლესიის შესახებ, სადაც აღძრულია ფრიად მნიშვნელოვანი კითხვები. მხოლოდ იმ წერილის დამწერს ეტყობა, რომ იმ საქმის ვითარება, რის შესახებაც წერა უკისრია, არ იცის და ამიტომ წერილის კილო შეუფერებელი გამოსულია.

მაგრამ, რომ ქართველმა საზოგადოებამ მცირე წარმოდგენა მაინც იქონიოს ხსენებულ ეკლესიის შესახებ, საჭიროდ მივაჩნია შემდეგი მოვახსენოთ.

სამწუხაროდ, ამ ჟამად მეტისმეტად უხერხულია, მეტსაც ვიტყვი, შეუძლებელიც, ამ საგანზედ არამც თუ გაზეთში წერა, უბრალო მეტი ლაპარაკიც კი; საქმე ამით არ გაკეთდება. ამ გარემოებას უნდა შეურიგდეთ ყველანი, სანამ გარემოება შეიცვლებოდეს. ვინც იცის გარემოება ამ საქმისა, უეჭველია, დამეთანხმება; ვინც არ იცის და ეინტერესება კი, მოვალეა, გაიცნოს და ჩაუფიქრდეს.

ეკლესიის საქმე ძალიან კარგად მიდის, როგორც ნივთიერის, აგრეთვე ზნეობრივის მხრითაც.

მაგრამ [illegible] წერილის უკანასკნელ [illegible] სჩანს, წერილის ავტორს მიზანში ამოღებული ჰყავს ამ ეკლესიის წინამძღვარი დეკ. ი. მირიანაშვილი, რომელსაც თუმცა არ ასახელებს, მაგრამ წამკითხავი უეჭველად იგულისხმებს, რომ მისი (დეკ. მირიანაშვილის) მეოხებით „თითქმის მთლად ჩატეხილი ხიდი ქართველ მრევლთა (მრევლის) და ეკლესიის მსახურთა შორის“. მხოლოდ ვინც გაიცნობს ამ პატიოსანი და ჩუმი მუშაკის მამა მირიანაშვილის მოქმედებას უკანასკნელს ხანში დიდუბის ეკლესიაში ყოფნის დროს, იგი უეჭველად იტყვის, რომ ამ ადამიანს პირნათლად შეუსრულებია თავისი მოვალეობა თავის ქართველ მრევლის და ეკლესიის წინაშე.

ჩვენ, როგორც დიდუბის ეკლესიის მრევლთაგანი, ვამოწმებთ ამას და ვაღვიარებთ, რომ არამც თუ ხიდი არ არის ჩატეხილი დიდუბის ეკლესიის ქართველ მრევლთა და მსახურთა (კერძოდ დეკ. მირიანაშვილის) შორის, არამედ ახალი მტკიცე ხიდია გადებული და, იმედია, ვერავითარი მავნე მოვლენა ვერ შეარყევს ამ კავშირს. ამას გარდა, იმედია, რომ შემდეგშიაც ისევ მხნედ და ერთგულად ემსახურება მამა მირიანაშვილი თავის წმინდა მოვალეობას, თავის სამწყსოსთან ერთად და დაგვირგვინებულსა ჰნახავს თავის მიერ დაწყობილს დიდს და კეთილს საქმეს ამავე ეკლესიის და მრევლის სასარგებლოდ. ნურც მიჰხედავს მამა მირიანაშვილი უვიცობისაგან ან ღვარძლიანობისაგან წარმოშობილს საწყინარს მოვლენებს, რომელთაც შეიძლება ზოგიერთს სულმოკლეს მართლაც გული გაუტეხოს და თავის აზრის განხორციელებაზე ხელი აალებინოს.

მაგრამ ნუმც იქნება ეგრე.

მრევლთაგანი.

ჩვენი ფოსტა.

სასულიერო პირთა საყურადღებოდ.

ჩვენს გაზეთს სასულიერო პირთაგან მრავალი წერილი მოსდის სპეციალ დანიშნულებისა, რომელსაც ფართო საზოგადოებისთვის მნიშვნელობა არა აქვს. ამისთვის რუსულ-ქართულ ენაზე გამოდის „სასულიერო უწყება“ ქართულ ნაწილს განაგებს არხიმანდრიტი პიროსი. ყველა ასეთ შინაარსიანი წერილები უნდა იგზავნებოდეს იქ. აქ ვბეჭდავთ ისეთ წერილებს, რასაც მჭიდრო კავშირი აქვსთ ჩვენს ეროვნულ პოლიტიკურ ცხოვრებასთან.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისში მოდის:

№ 3	ბაქოდან . . .	12 ს. 54 წ. დღ.
№ 4	ბათომიდან . .	5 ს. 55 წ. საღ.
№ 5	ბაქოდან (სწრაფი)	7 ს. 41 წ. საღ.
№ 10	ბათომიდან. .	9 ს. 51 წ. დღ.
	ჯულფიდან .	6 ს. 53 წ. დღ.
	ბორჯომიდან .	7 ს. 25 წ. დღ.
	„ საგარ.	10 ს. 28 წ. საღ.

თბილისიდან გადის:

№ 3	ბათომისკენ . .	1 ს. 45 წ. დღ.
№ 4	ბაქოსკენ . .	7 ს. 3 წ. საღ.
№ 6	ბაქოს (სწრაფი)	12 ს. 8 წ. დღ.
№ 9	ბათომისკენ . .	8 ს. 53 წ. საღ.
	ჯულფისკენ .	10 ს. 23 წ. საღ.
	ბორჯომისკენ	3 ს. 29 წ. დღ.

თევზის მრეწველნი
ძმ. მეზველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ, სახ, № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.
ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ, მაილოვის-შვით“, სამ
წველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოხ
ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლო
გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსე
და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ელექტრომბეჭდავ სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ., № 5.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან